სიტუაციური ნახაზი



0 1.5 3 6 9 12 metri

მასშტაბი 1:500

0000 0000 სახელმწიფო გეოდეზიური კოორდინატთა სისტემა UTM WGS 38N

მისამართი	ქ.თბილისი შანდორ პეტეფის ქუჩა, N17 _ის მიმდებარედ	მიწის ფართი	6 კვ.მ
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზოვანი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე მეტრი ხაზოვანი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე სიგრძე ხაზოვანი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი რაოდენობა	
პირობითი ნიშნები		საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	ი/მ თორნიკე ფართ[illegible] 18001071008
ნაკვეთის საზღვარი ფიქსირებული არაფიქსირებული			
შენობა ნაგებობა ძლვომარეობა აშენებული მშენებარე [illegible]	ვალდებულება [illegible]	დაინტერესებული პირი	შპს მინიმარტ[illegible]
		თარიღი	2024-10-30

18001071008

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი



მასშტაბი 1:250

0 2.5 5 7.5 10 m

სახელმწიფო გეოდეზიური
კოორდინატთა სისტემა
WGS_1984_UTM_Zone_38N

მისამართი	ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N17 –ის მიმდებარედ		
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	საკადასტრო აღწერაზე უფლებამოსილი პირი	ხელმოწერა:
ნაკვეთის ფართობი: 6 კვ.მ	თარიღი: 2024-10-30	დაინტერესებული პირი	ხელმოწერა:

პირობითი აღნიშვნები

ნაკვეთის არაფიქსირებული საზღვარი
წერტილი

18001071008

შენიშვნა:

ი.მ. თორნიკე ფარტლაძე ს.ნ. 18001071008

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის ფორმის მეორე გვერდი

მიწის ნაკვეთის/საზობრივი ნაგებობის ადგილმდებარეობა/მისამართი	ფართობი (კვ.მ)	დანიშნულება
ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, 17 –ის მიმდებარედ	6	არასასოფლო-სამეურნეო

შენობა ნაგებობის რიგითი ნომერი	დანიშნულება	მდგომარეობა	სართულიანობა	განაშენიანების ფართობი (კვ.მ)

უფლებრივი შეზღუდვის/დატვირთვის საზღვრების აღწერა	ვალდებულების სახე	ფართობი (კვ.მ)

საზღვარი	მოსაზღვრის აღწერა
A ——— B	01.17.10.005.062
B ——— C	01.17.10.005.062
C ——— D	01.17.10.005.062
D ——— A	01.17.10.005.062

საკადასტრო აღწერის დამსწრე პირების სახელი გვარი	ხელმოწერა
თ.ფართლაძე	

საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის სახელი, გვარი	თორნიკე ფართლაძე
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები	18001071008
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია	მისამართი: თერჯოლის რაიონი სოფელი თუზი. ტელ: 571443778
საკადასტრო აზომვის მეთოდოლოგია	რეალური დროის რეჟიმში (RTK);
გასაერთიანებელი ნაკვეთების საკადასტრო კოდები	01.17.10.005.062 ; ;
აზომვის შესრულების თარიღი	2024-10-30
საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების შემსრულებელი პირი და მისი ხელმოწერა	თორნიკე ფართლაძე
დაინტერესებული პირი	შპს მინიმარტს
დაინტერესებული პირის საიდენთიფიკაციო მონაცემები	402050819
დაინტერესებული პირის ხელმოწერა	

18001071008

საიჯარო ხელშეკრულება

წინამდებარე საიჯარო ხელშეკრულება (შემდგომში – "ხელშეკრულება") დადებულია 2023 წლის 31 მარტს.

შპს „EHRLE CAUCASUS" (შემდგომში ,,მეიჯარე") ს/კ: 404970689, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N86, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ღვედაშვილის (პ/ნ: 01011020683) სახით

და

შპს „დ.გ.ლ" (შემდგომში „მოიჯარე") ს/კ: 402111861, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, ბათუმის ქ., N26, წარმოდგენილი დირექტორის ლერი სოფრომაძის (პ/ნ: 01030034860) სახით

(შემდგომში ,,მეიჯარე" და ,,მოიჯარე" ერთობლივად იწოდებიან როგორც ,,მხარეები" და ცალ-ცალკე – როგორც ,,მხარე"), ვდებთ წინამდებარე „ხელშეკრულებას" და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1.
,,ხელშეკრულების" საგანი

1.1. ,,მეიჯარე" გადასცემს, ხოლო ,,მოიჯარე" იჯარის უფლებით, დროებით სარგებლობაში იღებს, 1.1.1. პუნქტში განსაზღვრულ უძრავ ქონებასა და მასზე არსებულ/განთავსებულ უძრავ-მოძრავ ქონებას, მათ შორის მოწყობილობა - დანადგარებს (შემდგომში "იჯარის საგანი"). უძრავ-მოძრავ ქონების დეტალური ჩამონათვალი და აღწერილობა განსაზღვრულია ამ „ხელშეკრულების" დანართში, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს. „მხარეთა" განმარტებით „იჯარის საგანი" წარმოადგენს, მოქმედ ავტო სამრეცხაო კომპლექს.

1.1.1.
მისამართი: ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. #17 (ნაკვეთი #005/062):
საკადასტრო კოდი: 01.17.10.005.062:
დაზუსტებული ფართობი: 1565.00კვ.მ:
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო:
შენობა ნაგებობის ჩამონათვალი: #1 საერთო ფართით 116.3 კვ.მ. (მათ შორის საოფისე ფართი 41.5 კვ.მ. სარდაფის ფართი 51.4 კვ.მ კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი 2.9 კვ.მ დამხმარე ფართი 20.5 კვ.მ.) და ავტოსადგომის ფართი 132 კვ.მ.
მესაკუთრე: შპს „EHRLE CAUCASUS"

1.2. "მოიჯარის" მიერ ამ "ხელშეკრულების" შესაბამისად "იჯარის საგნით" დროებით სარგებლობის უფლება გულისხმობს; "იჯარის საგნით" თავისუფალ და უწყვეტ სარგებლობას, ავტო სამრეცხაო კომპლექსის ოპერირების უფლებასა და საფირმო სახელწოდების გამოყენებას მხოლოდ ამ „იჯარის საგნის" ლოკაციაზე.

მუხლი 2.
ხელშეკრულების ძალაში შესვლა და იჯარის ვადა

2.1. წინამდებარე "ხელშეკრულება" ძალაში შედის „მხარეთა" შორის სათანადო მიღება-ჩაბარების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში. თუ ამ „ხელშეკრულების" ვადის ამოწურვამდე 2 (ორი) თვით ადრე ერთ-ერთი მხარე არ გამოთქვამს სურვილს წინამდებარე „ხელშეკრულების" შეწვეტის შესახებ," ხელშეკრულება" გაგრძელებულად ჩაითვლება ყოველი მომდევნო ერთი წლის ვადით, იგივე პირობებით;

მუხლი 3.
ანგარიშსწორება

3.1. ყოველთვიური საიჯარო გადასახადი (შემდგომში "საიჯარო გადასახადი") საიჯარო ვადის პირველი ექვსი თვის განმავლობაში შეადგენს ყოველთვიურად 3 000 [სამი ათასი] აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, ხოლო მე-7 თვიდან ყოველთვიურად 4 000 [ოთხი ათასი] აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.
3.2. "საიჯარო გადასახადის" ათვლა დაიწყება 2023 წლის 01 აპრილიდან.
3.3. "საიჯარო გადასახადი" მოიცავს დღგ-ს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.
3.4. „საიჯარო გადასახადის" გადახდა "მოიჯარის" მიერ ხდება ყოველთვიურად, ყოველი საანგარიშსწორებო თვის 5 რიცხვამდე, წინასწარ.გადახდა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. "საიჯარო გადასახადის" გადახდის ვადების გადაცილების შემთხვევაში, "მეიჯარე" უფლებამოსილია "მოიჯარეს" დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
3.5. "მხარეთა" შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, "მეიჯარის" საბანკო ანგარიშზე (სს „საქართველოს ბანკი", ა/ა: GE92BG0000000499183949) თანხის გადარიცხვის გზით.
3.6. „მხარეები" თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულებით" განსაზღვრული პირგასამტეხლო(ები)ს დაკისრება წარმოადგენს „მხარის" უფლებას და არა ვალდებულებას. პირგასამტეხლოს მიღების უფლება მოპოვებულად ითვლება და შესაბამისი თანხა ექვემდებარება გადახდას, დამრღვევი „მხარისათვის" წინასწარი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდგომ.

მეიჯარე _____

მოიჯარე _____

ამასთან პირგასამტეხლოს ოდენობის დარიცხვა განხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

მუხლი 4.
,,მხარეთა" უფლება-მოვალეობანი

4.1. "მეიჯარე" ვალდებულია:
4.1.1. შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით გადასცეს "მოიჯარეს" "იჯარის საგანი" და იქ განთავსებული კომუნალური მომსახურების მრიცხველები (ჩვენებებით);
4.1.2. არ ჩაერიოს "მოიჯარის" საქმიანობაში (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის განსაზღვრული ამ "ხელშეკრულებით" ან "მხარეთა" შორის არსებული სხვა შეთანხმებით) და "იჯარის საგნის" გამოყენებაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც "მოიჯარე" "იჯარის საგანს" იყენებს ამ "ხელშეკრულებით" გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის).
4.1.3. მისცეს „მოიჯარეს" თანხმობა, რათა "მოიჯარე" დარეგისტრირდეს ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, ტელეფონისა და სხვა კომუნალური მომსახურების უშუალო მიმღებად;
4.1.4. დაიცვას წინამდებარე "ხელშეკრულების" სხვა პირობები.

4.2. "მეიჯარე" უფლებამოსილია:
4.2.1. მოითხოვოს "მოიჯარისაგან" ამ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
4.2.2. ვადაზე ადრე, ცალმხრივად შეწყვიტოს "ხელშეკრულება" წინამდებარე "ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით;
4.2.3. მოითხოვოს "მოიჯარის" ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ "მოიჯარე" არღვევს "ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს "იჯარის საგანს" ამ "ხელშეკრულებით" გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის ან აზიანებს მას; ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ზიანი ანაზღაურებულ უნდა იქნეს საბაზრო ფასით.
4.2.4. ნებისმიერ დროს, წინასწარ შეთანხმების გარეშე, შევიდეს იჯარით გაცემულ ფართში, რათა მოახდინოს "მოიჯარის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების (მაგ. ფართის და მანქანა-დანადგარების მიზნობრივი გამოყენების) შესრულების შემოწმება;
4.2.5. გამოიყენოს წინამდებარე "ხელშეკრულებითა" და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

4.3. "მოიჯარე" ვალდებულია:
4.3.1. უზრუნველყოს "საიჯარო გადასახადის" გადახდა წინამდებარე "ხელშეკრულების" მე-3 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;
4.3.2. თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის, "იჯარის საგანი" გამოიყენოს მხოლოდ ამ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მიზნებისათვის და არ დაუშვას "იჯარის საგნის" ფუნქციის შეცვლა "მეიჯარის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;
4.3.3. განახორციელოს "იჯარის საგნის" მოვლა-პატრონობა, იქონიოს იგი სრულ წესრიგში და "იჯარის საგანთან" მიმართებაში დაიცვას ტექნიკური ექსპლუატაციის, სანიტარულ-ჰიგიენური, უსაფრთხოების (მათ შორის, ხანძარსაწინააღმდეგო) წესები და ნორმები, აგრეთვე მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები და აიღოს სრული პასუხისმგებლობა „იჯარის საგანზე" მომხდარ ნებისმიერი ზიანსა და ზარალზე როგორც საკუთარი პერსონალის, ასევე „მეიჯარისა" და ნებისმიერი სხვა პირის მიმართ და მათ წინაშე;
4.3.4. "იჯარის საგანზე" განახორციელოს მიმდინარე შეკეთება-რემონტი, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა "იჯარის საგნის" დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი სრულად, თავისი ხარჯებით;
4.3.5. „იჯარის საგნის" ობიექტზე განთავსებული მანქანა-დანადგარების ტექნიკურად გამართვის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, იჯარის ვადის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვიურად გაწიოს დანახარჯი. აქვე, მოიჯარე ვალდებულია „იჯარის საგნის" ობიექტზე განთავსებული მანქანა-დანადგარების ტექნიკურად გამართვის და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, გადაკეთების, სისტემური ცვლილების ან/და კაპიტალური ცვლილების მიზნით შესაბამისი სამუშაოების განხორციელებამდე წინასწარ აცნობოს მეიჯარეს წერილობით (მათ შორის, ელ-ფოსტის მეშვეობით) და მხოლოდ მეიჯარის თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს დაგეგმილი სამუშაო, თვის ბოლოს კი წარუდგინოს „მეიჯარეს" გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აქვე, იმის გათვალისწინებით, რომ „მხარეებს" ასევე გაფორმებული აქვთ ორი იჯარის ხელშეკრულება „მეიჯარის" საკუთრებაში არსებულ ორ იჯარის საგანზე (ს/კ: 01.18.05.008.251 და ს/კ: 01.11.12.020.141), „მხარეები" თანხმდებიან, რომ სამივე იჯარის საგანზე გაწეული დანახარჯის ოდენობა 6 თვის განმავლობაში ჯამურად უნდა შეადგენდეს 18 000 [თვრამეტი ათასი] აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, ამასთან, ყოველთვიურად უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 000 [სამი ათასი] აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.
4.3.6. "იჯარის საგნის" ნებისმიერი სახეცვლილება, გადაკეთება, სისტემური ცვლილება ან/და კაპიტალური ცვლილება წინასწარ წერილობით შეათანხმოს "მეიჯარესთან";
4.3.7. მიღება-ჩაბარების აქტით გადმოიბაროს „მეიჯარისგან" "იჯარის საგანი" და იქ განთავსებული კომუნალური მომსახურების მრიცხველები (ჩვენებებით);
4.3.8. წინამდებარე „ხელშეკრულების" გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში დარეგისტრირდეს ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლის, ტელეფონისა და სხვა კომუნალური მომსახურების უშუალო მიმღებად და დროულად იხადოს

მეიჯარე _____ მოიჯარე _____

აღნიშნული კომუნალური მომსახურებების გადასახადი. აღნიშნული ვალდებულების დარღვევის და კომუნალური მომსახურების გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში, „მეიჯარე“ უფლებამოსილია მოსთხოვოს, ხოლო „მოიჯარე“ ვალდებულია „მეიჯარის“ მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ შეაჩეროს „იჯარის საგნის“ ობიექტზე მიმდინარე სამუშაოების წარმოება. აღნიშნული საფუძვლით „მეიჯარე“, ასევე, უფლებამოსილია შეწყვიტოს „ხელშეკრულება“ „მოიჯარისთვის“ წინასწარ, 2 (ორი) კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

4.3.9. „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის/ვადის გასვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა დაცალოს და მიღება-ჩაბარების აქტებით გადასცეს „მეიჯარეს“ „იჯარის საგანი“.

4.3.10. „ხელშეკრულების“ მთელი პერიოდის განმავლობაში სრულად იქნება პასუხისმგებელი უსაფრთხოების, სამშენებლო და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვაზე, განუხრელად დაიცავს უსაფრთხოების ყველა ზომას, მათ შორის, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. ამასთან, „მოიჯარე“ სრულად პასუხისმგებელია „იჯარის საგნის“ ობიექტზე „მეიჯარისთვის“ ან/და მესამე პირებისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე, მათ შორის, ქონებისა და ჯანმრთელობის დაზიანებით ან/და სიცოცხლის მოსპობით დამდგარ ზიანზე ან/და ზარალზე.

4.3.11. დაიცვას წინამდებარე “ხელშეკრულების” სხვა პირობები.

4.4. “მოიჯარე” უფლებამოსილია:

4.4.1. მოსთხოვოს “მეიჯარეს” წინამდებარე “ხელშეკრულებით” ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება;

4.4.2. გამოიყენოს წინამდებარე “ხელშეკრულებითა” და კანონმდებლობით მასზე მინიჭებული სხვა უფლებები.

4.4.3. „მეიჯარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, დარეგისტრირდეს ტელეფონის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, წყლისა და სხვა კომუნალური მომსახურების უშუალო მიმღებად;

4.4.4. „მეიჯარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობით გასცეს „იჯარის საგანი“ მესამე პირზე ქვეიჯარის უფლებით. აქვე, მხარეები თანხმდებიან, რომ „მოიჯარე“ უფლებამოსილია „იჯარის საგანი“ ქვეიჯარის უფლებით გადასცეს შპს „შპს ფლექს ჯე“-ს [ს/კ: 402140492]. „იჯარის საგნის“ ქვეიჯარის უფლებით გაცემის მიუხედავად, „მოიჯარე“ „მეიჯარის“ წინაშე სრულად პასუხისმგებელი რჩება წინამდებარე „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

მუხლი 5.

უფლებათა გადაცემა

5.1. “მეიჯარე” უფლებამოსილია წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე გადასცეს მის აფილირებულ პირ(ებ)ს ამ “ხელშეკრულებიდან” გამომდინარე მისი უფლებები და მოვალეობები, ან მათი ნაწილი. ამასთან, “მოიჯარე” თავად დარჩება პასუხისმგებელი “მეიჯარის” წინაშე წინამდებარე “ხელშეკრულებიდან” გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებაზე.

მუხლი 6.

მოიჯარის მიერ დამონტაჟებული მოწყობილობანი

6.1. “მოიჯარე” იტოვებს უფლებას მის მიერ “იჯარის საგანზე” დამონტაჟებულ ნებისმიერ მოწყობილობაზე, დანადგარზე და სხვა ნივთებზე, რომლის მოხსნა და თან წაღებაც მას სურს “ხელშეკრულების” ვადის გასვლის ან მისი შეწყვეტის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში, “მოიჯარემ” უნდა უზრუნველყოს, რომ მოწყობილობა-დანადგარებისა და სხვა ნივთების გატანა “იჯარის საგნიდან” მოხდეს “იჯარის საგნის” დაზიანების გარეშე, ან “იჯარის საგნის” “მეიჯარისათვის” დაბრუნებამდე უნდა აღმოფხვრას აღნიშნული დაზიანებები. “მეიჯარეს” შეუძლია “ხელშეკრულების” ვადის გასვლის ან შეწყვეტის შემდეგ, “მოიჯარესთან” ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დაიტოვოს მოწყობილობები.

მუხლი 7.

“ხელშეკრულების” შეწყვეტა

7.1. წინამდებარე “ხელშეკრულება” შესაძლებელია შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

(ა) “ხელშეკრულების” ვადის გასვლის გამო;

(ბ) “მხარეთა” წერილობითი თანხმობის შემთხვევაში;

(გ) ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისას, 8.4. მუხლის შესაბამისად;

(დ) “მეიჯარის” მიერ, “მოიჯარისათვის” არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით, ყოველგვარი პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გარეშე.

(ე) “მოიჯარის” მიერ, “მეიჯარისათვის” არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით, ყოველგვარი პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გარეშე.

(ვ) „მეიჯარის“ მიერ ცალმხრივად, 2 (ორი) კვირით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით, „მოიჯარის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების (მათ შორის, ანგარიშსწორების წესის და ხელშეკრულების 4.3. მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების) დარღვევის შემთხვევაში.

(ზ) „მეიჯარის“ მიერ ცალმხრივად, დაუყოვნებლივ, წერილობითი შეტყობინებით, „მოიჯარის“ მიერ „იჯარის საგნის“ და მასზე არსებული/განთავსებული უძრავ-მოძრავი ქონების, მათ შორის მოწყობილობა - დანადგარების დაზიანების ან/და მათი ექსპლოატაციის, მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის ან/და მათი დაცვის მიმართ დაუდევრობის გამოჩენის შემთხვევაში.

(თ) “ხელშეკრულებითა” და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მეიჯარე

მოიჯარე

7.2. "ხელშეკრულების" დასრულების ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, "მოიჯარე" ვალდებულია "მეიჯარეს" დაუბრუნოს "იჯარის საგანი" იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ჩაიბარა "მეიჯარისაგან" (ბუნებრივი ცვეთის და ამორტიზაციის გათვალისწინებით). "იჯარის საგნის" დაბრუნებამდე "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებები სრულად გავრცელდება "მხარეებზე".

მუხლი 8.

ფორს-მაჟორი

8.1. წინამდებარე "ხელშეკრულებაში" გამოყენებული მნიშვნელობით, ტერმინი "ფორს-მაჟორული გარემოება" გულისხმობს შემდეგი გარემოების არსებობას (რომელიც უშუალო ზეგავლენას უნდა ახდენდეს შესაბამისი "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე):

(ა) სტიქიური უბედურება;

(ბ) სამხედრო მოქმედებები, აჯანყებები, არეულობები, სამოქალაქო ომები;(გ) საკანონმდებლო აქტის გამოცემა, რომელიც კრძალავს იმ საქმიანობის განხორციელებას, რასაც ახორციელებს "ხელშეკრულების" რომელიმე "მხარე";

(დ) "მხარეთა" კონტროლს დაუქვემდებარებელი ნებისმიერი სხვა გარემოება. ამასთან, ეს გარემოებები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა "ფორს-მაჟორულ გარემოებად", თუ ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

8.2. "იჯარის საგანთან" ან მის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებული "ფორს-მაჟორული გარემოების" დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს რომელიმე "მხარის" მიერ მისი ვალდებულების შესრულების, ან უფლების განხორციელების შეუძლებლობას, "მხარე", რომელიც ვერ ასრულებს "ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებას "ფორს-მაჟორული გარემოების" ზემოქმედების გამო, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომისთანავე (არაუგვიანეს ორი სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე "მხარეს" "ფორს-მაჟორული გარემოების" დადგომის თაობაზე და ასეთ შემთხვევაში, მის მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს "ფორს-მაჟორული გარემოების" მოქმედების ვადით.

8.3. „ფორს-მაჟორული გარემოების" არსებობა დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნით.

8.4. "ფორს-მაჟორული გარემოებების" 1 (ერთი) თვეზე მეტ ხანს გაგრძელების შემთხვევაში, თითოეული მხარე უფლებამოსილია, წერილობითი შეტყობინებით, ცალმხრივად, ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 9.

მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი

9.1. წინამდებარე "ხელშეკრულება" რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ამ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა ან უთანხმოება გადაწყდება "მხარეებს" შორის მოლაპარაკების გზით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ "ხელშეკრულებასთან", ან მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული დავის ან უთანხმოების გადაწყვეტა ვერ მოხდება "მხარეებს" შორის, ნებისმიერი დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, მათ შორის ნებისმიერი საკითხი ხელშეკრულების ანდა საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის, ნამდვილობასა და შეწყვეტის შესახებ განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით, უნდა გადაეცეს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს „დავების განმხილველ ცენტრს" DRC -ს, საარბიტრაჟო განხილვის ადგილია საქართველო თბილისი, რომლის სარეგისტრაციო კოდია 204547348; მის. ქ თბილისი ვაჟა-ფშაველას 71,სართ2, ოფისი 11. ვებ.გვერდი: WWW.DRC.GE. მხარეები ვთანხმდებით, რომ მხარეებს შორის, ასევე საარბიტრაჟო დაწესებულებას დავების განმხილველი ცენტრს ს/კ 204547348 შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით. ამ შემთხვევაში შეტყობინება განხორციელებულად ჩაითვლება, თუ იგი მხარეს ჩაბარდა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.მხარეები თანხმობას აცხადებენ, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ელ-ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება მათთვის ჩაბარებულად ითვლება და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ ექნებათ.

მუხლი 10.

ზოგადი დებულებები

10.1. რომელიმე "მხარის" მიერ "ხელშეკრულების" მთლიანად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით სხვა "მხარეების" მიერ მათთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება "ხელშეკრულების" ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე. უფლებების ამგვარი გამოუყენებლობა ასევე არ იქონიებს გავლენას სხვა (არადამრღვევი) "მხარის" უფლებაზე "ხელშეკრულების" შემდგომ დარღვევასთან დაკავშირებით.

10.2. წინამდებარე "ხელშეკრულება", მასში გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით, სრულად გავრცელდება "მხარეთა" შესაბამის სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

10.3. წინამდებარე "ხელშეკრულების" ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაკეთდეს წერილობით, ხელი მოეწეროს "მხარეთა" უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

10.4. წინამდებარე "ხელშეკრულების" რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად "ხელშეკრულების" ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ "ხელშეკრულებით" (და მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

მეიჯარე _____

მოიჯარე _____

10.5. წინამდებარე "ხელშეკრულების" დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენენ „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.
10.6. წინამდებარე "ხელშეკრულების" საფუძველზე მხარეთა შორის გაფორმებულ დამატებით შეთანხმებებსა და სხვა ხელშეკრულებებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც არის დადებული ამგვარი შეთანხმება, თუ სხვა ხელშეკრულება.
10.7. ხელშეკრულების მიზნებისათვის, მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლის ფორმებია: კომუნიკაცია უშუალოდ, ფოსტით, მათ შორის, ელექტრონული ფოსტით ან/და კურიერის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტით კომუნიკაციის შემთხვევაში, მხარეები გამოიყენებენ პასუხისმგებელი პირების ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართებს: „მეიჯარე“ d.gvedashvili@transmsheni.ge; „მოიჯარე“ - flexcompany1985@mail.ru ამასთან, ნებისმიერი ცვლილება, რომელიც შეეხება „მხარეების“ რეკვიზიტებს, დანარჩენ „მხარეებს“ უნდა ეცნობოთ ამგვარი ცვლილებიდან 3 (სამი) დღის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული წესი არ იქნება დაცული "მხარის" მიერ, და მეორე "მხარეს" არა აქვს მიღებული შესაბამისი შეტყობინება რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.
10.8. წინამდებარე "ხელშეკრულება" შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლიარი წარედგინება საჯარო რეესტრს, ხოლო დანარჩენი და გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები:

„მეიჯარის“ სახელით,

დ. ღვედაშვილი

„მოიჯარის“ სახელით,

ლ. სოფრომაძე

მეიჯარე

მოიჯარე

მიღება-ჩაბარების აქტი

თბილისი, საქართველო

31 / 03 / 2023 წ.

ერთი მხრივ, **შპს „EHRLE CAUCASUS“** (ს/კ 404970689) (შემდგომში „მეიჯარე“) წარმოდგენილი დირექტორის **დავით ღვედაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „დ.გ.ლ“** (ს/კ: 402111861) (შემდგომში „მოიჯარე“) წარმოდგენილი დირექტორის **ლერი სოფრომაძის** სახით ვადასტურებთ, რომ:

1. მხარეთა შორის 2023 წლის 31 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, „მეიჯარემ“ გადასცა, ხოლო „მოიჯარემ“ მიიღო იჯარის საგნის ობიექტზე (მისამართი: ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. #17 (ნაკვეთი #005/062); საკადასტრო კოდი: 01.17.10.005.062) განთავსებული კომუნალური მომსახურების მრიცხველები და გადაიბარა წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტისათვის დაფიქსირებული ჩვენებები შემდეგი სახით:

1. ელექტრო ენერგიის მრიცხველის ჩვენება : 408456 აბონენტის ნომერი : 5311165
2. წყლის მრიცხველის ჩვენება : 36952 აბონენტის ნომერი : 755859482
3. გაზის მრიცხველის ჩვენება : 950356577 აბონენტის ნომერი : 521364885

ავტოსამრეცხაოს ბოქსების ჩვენებები :

1 ბოქსი ჩვენება : 452573,5
2 ბოქსი ჩვენება : 492188,06
3 ბოქსი ჩვენება : 466327
4 ბოქსი ჩვენება : 357622
5 ბოქსი ჩვენება : 246124,5

მტვერსასრუტი 1 ჩვენება : 54497,5
მტვერსასრუტი 2 ჩვენება : 47016
მტვერსასრუტი 3 ჩვენება : 39908
მტვერსასრუტი 4 ჩვენება : 32413,5

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

მეიჯარე
შპს „EHRLE CAUCASUS“
საიდენტიფიკაციო კოდი: 404970689;
მის: თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N86

წარმომადგენელი:
პოზიცია: დირექტორი;
სახელი, გვარი: დავით ღვედაშვილი

მოიჯარე
შპს „დ.გ.ლ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 402111861;
მის: თბილისი, დიდუბის რაიონი, ბათუმის ქ., N26

წარმომადგენელი:
პოზიცია: დირექტორი;
სახელი, გვარი: ლერი სოფრომაძე

დასახელება	რაოდენობა	ერთეული	კომენტარი
სარეკლამო ტაბლო 1,28X0,64	1	ცალი	მუშა
მნათი მოცულობითი წარწერა	1	ცალი	არ მუშაობს
პლასტმასის წყლის ავზი (ბოთლისებური) 10000ლტ 2	2	ცალი	მუშა
ცივი და ცხელი წყლის მრიცხველი CSS32 2	1	ცალი	მუშა
ვიდეო კამერა კომპლექტში (მონიტორი,დივიარი)	8	ცალი	მუშა
EN 130A (White),მაცივარი 3	1	ცალი	მუშა
კონდიციონერი MSAB-12HRN1	1	ცალი	მუშა
ელ.გამაყგ ტურბო	2	ცალი	მუშა
მაგიდა 2	4	ცალი	მუშა
დივანი 2	1	ცალი	მუშა
ლითონის მაგიდა 1.0.*0.5*0.9	1	ცალი	მუშა
კარადა	2	ცალი	მუშა
თარო	3	ცალი	მუშა
წყლის წნევის შემძმნელი ორტუმბოიანი სადგური H=67მ ;Q=2X5მ³/სთ	1	ცალი	მუშა
წყლის წნევის შემძმნელი ორტუმბოიანი სადგური H=67მ ;Q=2X5მ³/სთ	1	ცალი	მუშა
სეიფი	1	ცალი	მუშა
საგანგაშო სიგნალიზაციის ღილაკი	1	ცალი	მუშა
მტვერსასრუტის კომპლექტი	4	ცალი	მუშა
განათების ბოძი	8	ცალი	2 ცალი არ მუშაობს ნათურის გამო
რკინის სამუშაო კიბე	1	ცალი	მუშა
სამრეცხაოს კომპლექტი (1 ბოქსი)	1	ცალი	მუშა
სამრეცხაოს კომპლექტი (2 ბოქსი)	1	ცალი	მუშა
სამრეცხაოს კომპლექტი (3 ბოქსი)	1	ცალი	მუშა
სამრეცხაოს კომპლექტი (4 ბოქსი)	1	ცალი	მუშა
სამრეცხაოს კომპლექტი (5 ბოქსი)	1	ცალი	მუშა
ტექნიკური ოთახი	1	ცალი	არ მუშაობს ფილტრაციის სისტემა, ოსმოსის სისტემა.

მიღება-ჩაბარების აქტი

თბილისი, საქართველო 01 / 04 / 2023 წ.

ერთი მხრივ, **შპს „EHRLE CAUCASUS“** (ს/კ 404970689) (შემდგომში „მეიჯარე“) წარმოდგენილი დირექტორის **დავით ღვედაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „დ.გ.ლ“** (ს/კ: 402111861) (შემდგომში „მოიჯარე“) წარმოდგენილი დირექტორის **ლერი სოფრომაძის** სახით ვადასტურებთ, რომ:

1. მხარეთა შორის 2023 წლის 31 მარტს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, „მეიჯარემ“ გადასცა, ხოლო „მოიჯარემ“ მიიღო „იჯარის საგანი“, კერძოდ: უძრავი ქონება (მდებარე: ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. #17 (ნაკვეთი #005/062); საკადასტრო კოდი: 01.17.10.005.062) და მასზე არსებული/განთავსებული უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის მოწყობილობა - დანადგარები, რომელთა დეტალური ჩამონათვალი და აღწერილობა განსაზღვრულია წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტის დანართი #1-ით.
2. „მოიჯარე“ ადასტურებს, რომ „იჯარის საგანი“ გადაეცა „ხელშეკრულებით“ შეთანხმებულ მდგომარეობაში და არ გააჩნია რაიმე პრეტენზია.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ:

მეიჯარე
შპს „EHRLE CAUCASUS“
საიდენტიფიკაციო კოდი: 404970689;
მის: თბილისი, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქუჩა, N86

წარმომადგენელი:
პოზიცია: დირექტორი;
სახელი, გვარი: დავით ღვედაშვილი

მოიჯარე
შპს „დ.გ.ლ“
საიდენტიფიკაციო კოდი: 402111861;
მის: თბილისი, დიდუბის რაიონი, ბათუმის ქ., N26

წარმომადგენელი:
პოზიცია: დირექტორი;
სახელი, გვარი: ლერი სოფრომაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
15017779853724

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N241348369

რეგისტრაციის თარიღი

08.10.2024 წ

ნოტარიუსი: ნათია ნოზაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქ. #22
ტელეფონი: 599 04 04 59

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაოთხი წლის **რვა ოქტომბერს**, მე, საქართველოს ნოტარიუს ნათია ნოზაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ჯუმბერ ლეჟავას ქ. #22, მომმართა **შპს „მინიმარტს"-ის** (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819) დირექტორმა **ედუარდი ოგანესიანმა** და განაცხადა, რომ **შპს „მინიმარტს"-ის** (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819) სახელით მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით და სსგს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ედუარდი ოგანესიანმა** (დაბ.03.10.1974წ, პირადი №01013008052, პირადობის მოწმ №20IB85109, გაცხადებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი ჟიული შარტავას ქ. N 60) მომმართა, ასევე დავადგინე დირექტორის უფლებამოსილება წარმოდგენილი **შპს „მინიმარტს"-ის** (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819) ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 02/10/2024 13:13:25, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24125230. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა ნათია ნოზაძემ ეს მინდობილობა წავუკითხე მარწმუნებელს და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე განვუმარტე, რომ ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს მინდობილობა, **ედუარდი ოგანესიანმა** განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაოთხი წლის რვა ოქტომბერს, მინდობილობის გამცემმა **შპს „მინიმარტს"-ის** (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819) დირექტორმა **ედუარდი ოგანესიანმა** (რომლის მონაცემები მითითებულია ზემოთ), ამ მინდობილობით „მინდობილ პირს", **ქეთევანი ხუციშვილის** (დაბ.19.11.1984წ., პირადი №01005011077) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

იყოს ჩემი როგორც, **შპს „მინიმარტს"-ის** (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819) დირექტორის წარმომადგენელი, კერძოდ:

1. "მინდობილი პირი" უფლებამოსილია იყოს წარმომადგენელი ნებისმიერი ქალაქისა თუ მუნიციპალიტეტის მერიაში და გამგეობაში, ასევე მათ დაქვემდებარებულ სამსახურებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერიის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, მათ შორის სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური"-ში, სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო"-ში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საქალაქო სამსახურში. სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოში. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არქივებში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში და სხვა ნებისმიერ კერძო თუ საჯარო დაწესებულებებში. შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია: ცნობები მოწმობები, ყველა პირისგან. შეათანხმოს პროექტი, მიიღოს მშენებლობის ნებართვა, მოახდინოს მშენებლობის დასრულება შემდგომი ლეგალიზაციით, მოახდინოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება და მიიღოს კორექტირებული პროექტის მშენებლობის ნებართვა, გადაიხადოს მოსაკრებელი. მოახდინოს მშენებლობა დამთავრებული შენობის ან/და ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება და განახორციელოს მასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა. წარმოადგინოს „მინდობილობის გამცემის" ინტერესები აზომვითი ნახაზის მომზადებისას, ასევე პროექტის შედგენისას, მოახდინოს პროექტის კორექტირება, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, უძრავი ქონების ფართების დაზუსტება, კორექტირება, რეგისტრაცია, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან (სხვა უძრავ ნივთთან), **შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან და მიიღოს მშენებლობის ნებართვა. ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას**, მოახდინოს დოკუმენტების ატვირთვა შესაბამის ელექტრონულ პორტალზე, გამოითხოვოს **შპს** „მინიმარტს"-ის კუთვნილი ნებისმიერი სახის დოკუმენტი.

2. აიღოს იჯარით, **შპს „მინიმარტს"-ის** (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819) სახელით ნებისმიერი უძრავი ქონება. ამასთან დაკავშირებით აწარმოოს მოლაპარაკებები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, მუნიციპალიტეტებთან. **შპს „მინიმარტს"-ის** (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819), როგორც „მოიჯარის" სახელით ხელი მოაწეროს უძრავი ქონების ქირავნობის/იჯარის ხელშეკრულებას, ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ ნოტარიუსთან, ნებისმიერ სანოტარო ბიუროში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები საკუთარი შეხედულებისამებრ და დაარეგისტრიროს აღნიშნული ხელშეკრულება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, გადაიხადოს მოსაკრებელი ამასთან დაკავშირებით წარადგინოს შესაბამისი განცხადებები, თანხმობები, ცნობები,

კუმენტები, აზომვითი ნახაზები (მათ შორის ელექტრონული ვერსია), გააუქმოს რეგისტრაცია პროექტის არგლებში, მოახდინოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია, გამოითხოვოს და ძიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია ყველა პირისაგან, დაწესებულებისაგან, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს და აღმოფხვრას ყოველგვარი ხარვეზი, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, გადაიხადოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერი საჭირო მოქმედება აღნიშნულ დავალებებთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია **ერთი წლის ვადით, გადანდობის უფლების გარეშე** და ძალაშია **ორიათას ოცდახუთი წლის რვა ოქტომბრამდე.**

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ინახება ნოტარიუს ნათია ნოზაძის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა „მინდობილობის გამცემს“.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის შპს „მინიმარტს”-ის (საიდენტიფიკაციო/ნომერი 402050819) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 02/10/2024 13:13:25, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24125230.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური სულ 40.40 (ორმოცი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, აქედან: 30.00 (ოცდაათი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, 5.00 (ხუთი) ლარი, ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური - ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აგრეთვე დღგ : 5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

შპს „მინიმარტს”-ის დირექტორი:

ნოტარიუსი ნათია ნოზაძე :

შეკერილია და დანომრილია
ექვსი (12)
ფურცლად
ნოტარიუსი
ნათია ნოზაძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24125230, 02/10/2024 13:13:25

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მინიმარტს
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	402050819
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	16/05/2017
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ვაგზალის მოედანი, მეტროპოლიტენის სამმართველოს მიმდებარედ (ნაკვეთი 05/070)

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - ედუარდი ოგანესიანი, 01013008052

კაპიტალი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
ვალერიან გვათუა, 19001015833	75%	
გიორგი რურუა, 01009010553	25%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R23528995 18/09/2023 11:16:38**
  ლიზინგის გამცემი : სს თიბისი ლიზინგი (JSC TBC Leasing) (საქართველო) 205016560
  ლიზინგის მიმღები : შპს მინიმარტს (საქართველო) 402050819
  საგანი: **იდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : შეტყობინებით N3431/23**
  წარმოდგენილი მოძრავი ნივთები
  საფუძველი: **შეტყობინება, სს თიბისი ლიზინგი, N3431/23, 13.09.2023, ელექტრონული ხელმოწერა, 13.09.2023**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R24263698 25/04/2024**
  ლიზინგის გამცემი : სს თიბისი ლიზინგი (საქართველო) 205016560
  ლიზინგის მიმღები : შპს მინიმარტს (საქართველო) 402050819
  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : სს “თიბისი ლიზინგის” (ს/ნ 205016560) 2024 წლის 22 აპრილის №1636/24 წერილში აღწერილი მოძრავი ქონება.**
  საფუძველი: **წერილი, სს “თიბისი ლიზინგი', 1636/24, 22.04.2024, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა, 23.04.2024**
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R24263789 25/04/2024 15:04:26**
  ლიზინგის გამცემი : სს თიბისი ლიზინგი (საქართველო) 205016560
  ლიზინგის მიმღები : შპს მინიმარტს (საქართველო) 402050819
  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : სს “თიბისი ლიზინგის” (ს/ნ 205016560) 2024 წლის 22 აპრილის №1633/24 წერილში აღწერილი მოძრავი ქონება.**
  საფუძველი: **წერილი, სს “თიბისი ლიზინგი”, 1633/24, 22.04.2024,**

დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R24673119 28/05/2024 11:59:03**

  კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595

  მესაკუთრე : შპს მინიმარტს (საქართველო) 402050819

  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : გირავნობის ხელშეკრულების 2.1.2 პუნქტით განსაზღვრული არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება, გარდა სს სს თიბისი ბანკის 29.08.2023წ. №16372/109-42, 16.10.2023წ. №16903/109-42, 15.11.2023წ. №17276/109-42 და 27.05.2024წ. №1970/109-42 წერილებში მითითებული მოძრავი ნივთებისა.**

  საფუძველი: **გირავნობის ხელშეკრულება , სს თიბისი ბანკი, 1231232951520, 17.06.2022, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო , 17.06.2022**

  წერილი, სს თიბისი ბანკი, 16372/109-42, 29.08.2023

  წერილი , სს „თიბისი ბანკი“, 16372/109-42, 16.10.2023, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 16.10.2023

  წერილი, სს „თიბისი ბანკი“, 17276/109-42, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 16.11.2023

  წერილი, სს თიბისი ბანკი, 1970/109-42, 27.05.2024, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 27.05.2024

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R2401262990 10/07/2024 12:56:47**

  ლიზინგის გამცემი : სს თიბისი ლიზინგი (საქართველო) 205016560

  ლიზინგის მიმღები : შპს მინიმარტს (საქართველო) 402050819

  საგანი: **არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : 3081/24 წერილში მითითებული მოძრავი ნივთები.**

  საფუძველი: **შეტყობინება, სს თიბისი ლიზინგი, 3081/24, 09.07.2024, ხელმოწერა შესრულებულია ელექტრონულად**

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

2022 წლის პირველ იანვრამდე რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია 2025 წლის 1 აპრილამდე უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების 04.08.2021 წ. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა

საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.

- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.17.10.005.062**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია **მომზადების თარიღი**

N 892023277227 - 18/11/2023 14:18:22 **20/11/2023 15:53:49**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ისანი		
01	**17**	**10**	**005/062**

მისამართი: ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩა, N 17

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 1565.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**01.17.10.005.060;**

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართით 116.3 კვ.მ. (მათ შორის საოფისე ფართი 41.5 კვ.მ. სარდაფის ფართი 51.4 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი 2.9 კვ.მ. დამხმარე ფართი 20.5 კვ.მ.) და ავტოსადგომის ფართი 132 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882015634824 , თარიღი 06/11/2015 11:41:59
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/11/2015

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება Nბ-48445/07 , დამოწმების თარიღი:20/10/2015 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
- მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო , დამოწმების თარიღი:24/06/2014

მესაკუთრეები:
შპს "EHRLE CAUCASUS" , ID ნომერი:404970689

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "EHRLE CAUCASUS"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023322435 თარიღი 03/04/2023 14:31:05

მოიჯარე: **შპს "დ. გ. ლ."** 402111861;
საგანი:დაზუსტებული ფართობი - 1565 კვ.მ. მასზე მდებარე შენობა-ნაგებობ(ებ)ით;
ვადა:5 წელი;
ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

საიჯარო ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი03/04/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/04/2023

(განცხადების N892023189318, თარიღი: 01/11/2023) შეთანხმება იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ, დამოწმების თარიღი01/11/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას

საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge


NAPR
NAPR

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

30 სექტემბერი 2024 წელი

ერთის მხრივ, **შპს "მინიმარტს"** (ს/კ 402050819), შემდგომში "ქვემოიჯარედ" წოდებული,–წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბახტაძის** - სახით და მეორეს მხრივ **შპს "დგლ"** (ს.კ.402111861) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლერი სოფრომაძის** სახით შემდგომში "ქვემეიჯარედ" წოდებული. ხელშეკრულებაში მოხსენიებულნი, როგორც "მხარეები", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 "ქვემეიჯარე" გადასცემს ხოლო "ქვემოიჯარე" სარგებლობაში იღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემდეგ ქონებებიდან 6 კვ/მ (თითო ქონებიდან):

ქ. თბილისში, ფეიქრების ქუჩა 2ა	საკადასტრო კოდი 01.11.19.007.038 .
ქ. თბილისი, ნანდორ პეტეფის ქ. #17 (ნაკვეთი #005/062):	საკადასტრო კოდი: 01.17.10.005.062:
თბილისი , ქუჩა დიდი ხეივანი ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულუა , N 1 , მიმდებარედ	საკადასტრო კოდი: 01.18.05.008.251
ქ. თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N 28	საკადასტრო კოდი: 01.11.12.020.141:

2. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორება

2.1 იჯარით აღებული ქონებით სარგებლობისათვის, ყოველთვიური საიჯარო ქირა - თვითოეული ქონებისათვის შეადგენს **1000 ლარს** ჯამში **4000 (ოთხი ათასი) ლარს დღგ-ს გარეშე.**

2.2 ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება ყოველი მომედვნო თვის 5 რიცხვამდე, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

2.3 მხარეები თანხმდებიან, ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდას ქვემოიჯარე განახორციელებს იმ თარიღიდან როდესაც თბილისის არქიტექტურის სამსახურში მოიპოვებს შესაბამის საიჯარო ფართზე ჯიხურის განთავსების ნებართვას.

2.4 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების პერიოდში ქვემეიჯარე არ განახორციელებს საიჯარო ქირის გაზრდას.

2.5 საიჯარო ქირა არ მოიცავს კომუნალურ გადასახადებს. აღნიშნულ გადასახადებს ქვემოიჯარე გადაიხდის თავად.

3. მხარეთა უფლება მოვალეობანი

3.1 **"ქვემეიჯარე" უფლებამოსილია:**

ა) მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი სახის ცვლილება უნდა იყოს შეთანხმებული მხარეებს შორის, წერილობითი სახით.

3.2 "ქვემოიჯარე" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს "ქვემოიჯარის" მიერ საიჯარო ფართის შეუფერხებელი და სრული გამოყენება, მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით;

ბ) გადასცეს "ქვემოიჯარეს" იჯარით აღებული ფართი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სარგებლობისთვის.

დ) დროულად მიაწოდოს მოიჯარეს ყველა სახის ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელიც ქვემოიჯარეს დასჭირდება არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად (საიჯარო ქონებაზე ჯიხურის განთავსები ნებართვის მოპოვებისათვის)

3.3 "ქვემოიჯარეს" უფლება აქვს:

ა) გამოიყენს საიჯარო ფართი ჯიხურის განსათავსებლად საცალო ვაჭრობისათვის;

ბ) მოიჯარე უფლებამოსილია საიჯარო ფართზე განათავსოს ჯიხური;

3.4 "მოიჯარე" ვალდებულია:

ა) ყოველთვიურად, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, გადაიხადოს საიჯარო ქირა და კომუნალური გადასახადები;

ბ) მოუფრთხილდეს იჯარით აღებულ ფართს;

გ) დაუბრუნოს ფართი "მეიჯარეს", შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე დაუძლეველი ძალა, რომლის წარმოშობა ხელშეკრულების დადების მომენტში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს არ შეეძლოთ წინასწარ გაენესაზღვრათ ან/და თავიდან აეცილებინათ;

4.2 დაუძლეველ ძალად ჩაითვლება სტიქიური უბედურებანი (მაგ. მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა), საომარი ან საგანგებო მდგომარეობა;

4.3 ფორს-მაჟორი არ ათავისუფლებს მხარეებს ფორს-მაჟორის დასრულების შემდეგ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისგან.

5. დამატებითი პირობები

5.1 მხარეთა შორის წარმოშობილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით;

5.2 თუ ასეთი მოლაპარაკების მიუხედავად, მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს;

5.3 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება, მხოლოდ მხარეთა შორის წერილობით შეთანხმებით.

6. დასკვნითი დებულებები

6.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლიარს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია;

6.3 ხელშეკრულება მოქმედებს 2024 წლის 30 სექტემბრიდან 2025 წლის 30 აგვისტომდე.

6.4 ქვემოიჯარეს შეუძლია ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შემდეგ შემთხვევებში:

- მხარეთა ურთიერთ შეთანხებით;

-დაუყონებლივ, თუ ქვემეიჯარე არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ნებისმიერ ვალდებულებას;

- ქვემოიჯარის ინიციატივით დამატებითი ანაზღარების ვალდებულების გარეშე, ქვემეიჯარის წინასწარი წერილობითი გაფრთხილების შემდეგ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე 30 კალენდარული დღით ადრე. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში ქვემოიჯარე თავისუფალია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

6.5 ქვემეიჯარე უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება რის შესახებაც უნდა აცნობოს წერილობით ქვემოიჯარეს შეწყვეტამდე 90 კალენდარული დღით ადრე.

6.6 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდება კიდევ ერთი წლით, თუ ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე არც ერთი მხარე წერილობით არ განუცხადებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნული წესით ხელშეკრულების მოქმედების ვადა შესაძლოა გაგრძელდეს ყოველწლიურად.

7.მხარეთა რეკვიზიტები:

„ქვემოიჯარე“

შპს „მინიმარტს“
იურ. მის: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი,
ვაგზალის მოედანი, მეტროპოლიტენის
სამმართველოს მიმდებარედ (ნაკვეთი 05/070)
ს/ნ: 402050819
ს.ს. „თი ბი სი ბანკი“
ანგარიშის ნომერი:
GE21TB7942336020100005
ბანკის კოდი: TBCBGE22

დირექტორი
გიორგი ბახტაძე

„ქვემეიჯარე“

შპს „დგლ“
მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი,
ბათუმის ქ., N26

ს/ნ: 402111861
ანგარიშის ნომერი:

დირექტორი
ლერი სოფრომაძე

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

შპს „EHRLE CAUCASUS“-ის (ს/კ 404970689) დირექტორი **დავით ღვედაშვილი** (პ/ნ 01011020683) თანახმობას ვაცხადებ, რომ **შპს „მინიმარტ“-მა** (ს/კ 402050819) 2024 წლის 30 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ და მეიჯარე - **შპს „EHRLE CAUCASUS“-ის** (ს/კ 404970689) საკუთრებაში არსებულ **6 კვ.მ. მიწაზე მდებარე: ქ. თბილისი, შანდორ პეტეფის ქ. #17 (საკადასტრო კოდი 01.17.10.005.062) თავისი შეხედულებისამებრ განათავსოს ჯიხური.**

თანხმობა სრულად გამოხატავს შპს „EHRLE CAUCASUS“-ის (ს/კ 404970689) ნებასურვილს, რასაც ვადასტურებ ხელისმოწერით.

თარიღი: 23.12.2024წ.

ხელმოწერა: დავით ღვედაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N241686239
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	23.12.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	გულთამზე ბოჭორიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №25, ბინა №3
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	591245741
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	19581053496924

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცდაოთხი წლის ოცდასამ დეკემბერს, მე, საქართველოს ნოტარიუსს გულთამზე ბოჭორიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №25, ბინა №3, მომმართა: დავით ღვედაშვილმა. მან მოითხოვა **თანხმობაზე** თავისი ერთი ხელისმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **დავით ღვედაშვილიმა** (დაბ. 04.01.1977წ. სიღნაღში, პ/ნ 01011020683, მისამართი: ქალაქი თბილისი, დიღმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 1ა, ბინა 57) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს **თანხმობაში** მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. შემდეგ **დავით ღვედაშვილიმა** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე **თანხმობას**.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური **(6,00) ექვსი ლარი,** თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლის მე-3 პუნქტისა. აგრეთვე **დღგ (1,08) ერთი ლარი და რვა თეთრი,** თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა. აგრეთვე **5.00 (ხუთი) ლარი** ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლის 1 პუნქტისა. **სულ (12,08) თორმეტი ლარი და რვა თეთრი.**

ნოტარიუსი
გულთამზე ბოჭორიშვილი



აკინძულია
______ ფურცელზე
ნოტარიუსი
გულთამაზ ბოჭორიშვილი

GEORGIA NOTARY GULTAMZE BOCHORISHVILI
ГРУЗИЯ НОТАРИУС ГУЛТАМЗЕ БОЧОРИШВИЛИ
01027010131